№ 28. 17 (29) ივლისი 1870 17 (29) ივლისი № 28.

გაზეთის ფასი

...ლისში და გა-
...ადგილებში: გაგზავნით — გაუგზავნელათ:
...ის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
...რის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
... თვისა — 2 — 50 კ. — — — 2
... თვისა — 1 — — — — „ — 75 კ.
... ერთის ნომრისა — — — „ — 15 კ.

...რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება ...და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულე-...ის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით ...ზე 1/2 კაპ.

...როება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელი-ქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ლ. ლოლუასთან — პოლიციის ქუჩაზე მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

შინაარსი

...საქართველო (განათლებაზე — დიდი მთავარი ...ტანტინეს მოგზაურობა — საზაფხულო თეატრი თფი-...ში — რაჭის ამბები) — რუსეთი (სახელოსნო გამო-... პეტერბურგში — ამბები) უცხო ქვეყნები (პრუს-...და საფრანგეთი — იტალია — ომის ამბები) — გან-...ცხადებები.

...ფელტონი: — ომის გავლენა ევროპაზე ...სკანდელის)

# საქართველო

## განათლებაზე.

...ახლანდელი გაუნათლებელი ხალხი უფრო ...ბედნიერია ძველ საუკუნების გაუნათლებელ ...ხალხზე, რადგანაც მას თვალის წინ აქვს გა-...ნათლების გზა, რომელსაც რამოდენიმე საუ-...კუნის განმავლობაში ეძებდა კაცობრიობა. ...ახლანდელ ხალხს უნდა გასვლა ამ მონახულ ...გზაზე და გადაუცილებლად სვლა სულ წინ, ...რომ ჩქარა დასტოვოს თავისი ბნელი ცხოვ-...რების ქერქი. მაგრამ ნათქვამია: „სტუმარი ...სახლს ვერ მიაგნებს, თუ მასპინძელმა არ ჩა-...უძღვაო“.

...განათლებაშიაც აგრე არის. სტუმრის ად-...გილი უჭირავს გაუნათლებელ ხალხს და მას-...პინძლისა კი — მის განათლებულ წევრებს, რო-...მელნიც ჩვენს გაუნათლებელ ხალხს განათ-...ლების გზაზე უნდა გაუძღვენ.

მაგრამ ვნახოთ, ასრეა ეს თუ არა?

ამ კითხვის გასამართებლათ, ჩვენ ერთი ...ვალი უნდა გადავავლოთ იმ მდგომარეობას, ...რომლიდგანაც გამოდიან ჩვენი ხალხის განა-...თლებული წევრები, ე. ი. სასწავლებლებს, ...რომელნიც, . . . . . . . . . . ამ-ზადებენ განათლების გზის მაჩვენებელ წევ-რებს.

მე ბევრჯერ მქონია შემთხვევა მელაპარაკნა ზოგიერთი სასულიერო და სასოფლო შკოლე-ბის ყმაწვილებთან, და მუდამ შემინიშნავს, რომ ამ სასწავლებლებში იმათ არა თუ არ გახს-ნიათ აზრი, არამედ ის ნიჭიც დაუკარგავსთ, რომელიც შესვლის დროს ჰქონიათ.

იმათ არ შეუძლიათ გამოთქვან რუსულათ ან ქართულათ თუნდა ერთი აზრიანი წინა-დადება. მათ ლაპარაკზე დაკვირვებულ კაცს ეგონება, სუსტათ გაზეპირებულ რასმე კით-ხულობენო.

ამისთანა აზრის დამახინჯების ახსნა ადვი-ლია.

შკოლებში საგნებს რასაკვირველია რუსულ ენაზე ასწავლიან, მაშასადამე, საგნის შესა-თვისებლად, ყმაწვილმა უნდა იცოდეს ეს ენა, როგორც თავის მშობლური; მაგრამ, ჩვენ და საუბედუროთ, რუსული ენის სწავლა სასოფ-ლო და ზოგიერთ სხვა სასწავლებლებში, არ მიდის ხეირიანად.

ყმაწვილი შკოლაში ყოველ დღე დაიარე-ბა, და რჩება შიგ მხოლოდ რამოდენიმე სა-ათს, რომლის განმავლობაში ასწავლიან წე-რას, კითხვას და ლაპარაკს.

შემდეგ ყმაწვილი მიდის სახლში მეორე დღემდის; იქ ლაპარაკობს და თამაშობს თა-ვის დედა ენაზე; ასე რომ ორი-სამი დაზე-პირებული სიტყვა ავიწყდება და მეორე-ჯერ სასწავლებლათ უხდება. ამ ნაირად მიდის ორი ან სამი წელი, სანამ ყმაწვილი დაწყო-ბით ამოკითხვას ისწავლიდეს. მაშინ მისცე-მენ ხელში გრამატიკას და სხვა წიგნებს. შე-უდგება საწყალი ყმაწვილი სწავლას; უხსნის მას-წავლებელი, კითხულობს თითონ დანიშ-ნულს, მაგრამ არ ესმის რა. რასაკვირველია, რომ ერთი ღონისძიება რჩება საწყალს,— უაზროთ ზეპირება, რადგანაც არ იცის კარ-გათ რუსული ენა. აი ეს არის მიზეზი რომ სასულიერო და სასოფლო შკოლების ყმა-წვილები მთელი დღე მოუსვენებლად კაკა-ნობენ, კვერცხის დამდებ დედალივით.

რასაკვირველია, რომ აქედამ გამოსულ ყმა-წვილს რამე საგანზე აზრიანათ სჯა თავის სი-ცოცხლეში, გაუჭირდებათ. იმას თითქმის ეკარგება ცხოვრების საშუალება, რადგანაც მას შკოლაში დაუკარგავს ის გაუხსნელი აზ-რიც, რომლის შემწეობით ცხოვრებდა მამა-მისი. რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა თავები ვერ გაუძღვებიან ხალხს განათლების გზის სა-ჩვენებლად.

თუმცა ეს ძალიან სამწუხარო საქმეა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ უფრო სამწუხარო ისაა, რომ საზოგადოება არ აქცევს მას ყუ-რადღებას და არ ეძებს არც მის მიზეზს, არც მის მომსპობელ საშუალებას.

ჩვენი აზრით მინამ ყმაწვილებს შინ რუ-სული ენის სწავლის საშუალება არ ექნებათ, შკოლებში საგნების სწავლა მათთვის გასა-ჭირი იქნება.

ახლა ვნახოთ, ვისზე უნდა გვქონდეს იმე-დი ამისთანა საქმეში.

ყოველმა ძველმა და ახალმა ქართველმა გაიგო სწავლის საჭიროება და კიდევაც ყვე-ლას სურს, რომ მათმა შვილებმა ისწავლონ რამე; ეს ასეთი ცხადი საქმეა, რომ ამის დამ-ტკიცებას ჩვენ საჭიროთ არ ვრაცხთ.

მაგრამ ვკითხავ: რას ხედავენ სწავლაში და რას მოელიან მისგან ჩვენი მამები?

ჩვენ რომ შევათანასწოროთ ერთმანერთში ჩვენი მამების ახლანდელი და ხუთი წლის წი-ნეთი აზრები განათლებაზე მივხვდებით, რას ხედავენ ისინი განათლებაში და რას მოელიან.

ხუთი წლის წინეთ, ყოველგან ისმოდა ბა-ტონებიდგან: „რა განათლება? მამაჩემი თუ არ ყოფილა განათლებული, პურს იმიტომ ვერ სჭამდა, საწყალი“. და როცა „განათლებულ“ კაცთან ლაპარაკი მოუვიდოდა ამ ბატონს, მა-შინვე დაიკვეხდა: „რა მოგწონს თავი, ყმაწვი-ლო? შენისთანა ორმოცი ფეხის მბანელი მყავს.“ ამისთანა აზრები ბევრი გამიგონია სასწავლებელში მებატონეების შვილებისა-გან.

ახლანდელ დროში გვესმის იმავე ბატო-ნებიდან სულ სხვა: „რა ექნათ, ახლა სულ სხვა დროა; ყმები წაგვეიიდენ, ჩვენ თოხნა არ შეგვიძლია; უნდა ვასწავლოთ შვილებს, რომ შიმშილით არ მოვკვდეთ.“

აქიდამ შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ჩვენი მამები უყურებენ განათლებას, როგორც უწინ უყურებდნენ ყმებს, ე. ი. როგორც სა-კუთარ ნივთს, რომელსაც გაყიდიან და შე-სჭამენ, როცა მოშივდებათ.

რასაკვირველია, ეს სრულებით უსაფუძვე-ლოც არაა: განათლებამ ყველას თავის რჩე-ნის საშუალება უნდა მოუტანოს; მაგრამ ასეთი განათლების დაფასება იმას გავს, ვინმე რომ ამბობდეს: „მე მისთვის დავიბადე, რომ სადილ-ვახშამი ვჭამოო.“

ჩვენს მამებს არ აწუხებს ის საზოგადო სარგებლობა, რომლის მოტანა შეუძლია გა-ნათლებას; მათ ფეხებზე კიდია საზოგადო კე-

# ფელტონი

## ომის გავლენა ევროპაზე

...რა ბედნიერი კაცები ვიქნებოდით მე და ...შენ, მკითხველო, ამ ფელტონის წერის და ...კითხვის მაგიერათ ეხლა ევროპაში რომ ვი-...ყოთ, და თვალ წინ — „დროების“ თაბახი კი ...არა — იქაური ცხოვრება და იქაური საქმეები ...გვქონდეს!... რა ცხოვრებაა, რომ იცოდე, რა ...საქმეები!

+

...სამოცდა ექვსში, როცა შუაგულ ევროპას ...ცეცხლის მეზობლისთანა აყალ-მაყალი აუტყდა, მე ...შვეიცარს გარეთ ვიყავი. მაშინაც, წლევან-...დელისა არ იყოს, ივლისის თვე იდგა; მე ...ვცხოვრებდი ჟენევის ტბის პირზე, თვითონ ...ჟენევაში, თავისუფალი შვეიცარიის შვილებს ...შუა; და გაკვირვებით დავცქეროდი მათ მოქ-...მედებას და ყოფაქცევას იმ ომის დროს.

+

...უნდა იცოდე, მკითხველო, რომ შვეიცა-...რია პაწაწინა ქვეყანაა, მთიული და მშვენიე-...რი. შიგ სცხოვრებს მხნე, პატიოსანი, გულ-კე-...თილი და შრომის და განათლების მოყვარე ...ხალხი, რომელმაც კაი ხანია მასაქეთ თავისი ...მშობლოს ველური კლდე და ორმოები ...მშვენივრათ შემუშავებულ მამულათ გარდა-...ქმნა.

ამ ხალხს ახირებულათ გაუწყვია თავისი საქმეები. მასაქეთ, რაც ის ავსტრიის ხელი-დგან გათავისუფლდა, ის საკუთარ საქმეებს თვითონვე მმართავს: გამგებლათ იმას თავისი ამორჩეული პირები ყავს და მათზე ზედამ-ხედველათ ამორჩეული დეპუტატები უყვნია.... მაგრამ ყველაზე ახირებული საქმე ის არის, რომ იმას ჯარი არა ყავს.

+

როგორ თუ ჯარი არა ყავს, იტყვის მკი-თხველი? მაშ ავაზაკობა არავის არ დაეშლე-ბა, და გარეგან მტერსაც გზა გახსნილი ექ-ნება?

+

არა, ჩემო კეთილო მკითხველო. მართალია, შვეიცარიას ჯარი არა ყავს, მაგრამ ყოველი შვეიცარიელი ახალგაზდობაში სამხედრო სამ-სახურს სწავლულობს, და მერმე ყოველ წელს იმას ხელ-ახლავ ექვსი კვირის ვადით სამსა-ხურში იწვევენ და სამხედრო საქმეებს აჩვე-ვენ. იმას მთავრობიდან თოფ-იარაღი ეძლე-ვა და, თუ სურს, სამხედრო ტანსაცმელი და სრული გაწყობილება.

+

ეს ერთი.

ეხლა მეორე. შვეიცარიაში ისეთ ქა-ლაქს ვერ ნახავ — რაგინდ მცირე და დაკარ-გული იყოს, — რომ შიგ ერთი უცხო ამხანა-გობა არ იყოს გამართული: „თოფის მსროლ-ველების ამხანაგობა.“ ყოველ კვირა და უქმ დღეს, მთელი ხალხი ქალაქ გარეთ ერთ და-ნიშნულ მინდორზე გადის, სადაც ნიშანში თოფის სროლა იმართება. წელიწადში ერთ-ხელ-ორჯერ, მთელი მაზრის თოფის მსროლ-ველები ერთათ იკრიბებიან და ერთათ მმარ-თავენ თოფის სროლას. ამას გარდა, წელი-წადში ერთხელ, მთელი შვეიცარიის თოფის მსროლველებიც თავს იყრიან. ეს უკანასკნელი ყრილობა რიგზე ხდება, — ხან ერთ ქალაქში, ხან მეორეში და ხან მესამეში, ისე რომ არც ერთ შვეიცარიელ ქალაქს გული არ დაწყდეს.

+

მთელი შვეიცარიიდგან, და ხანდის ხან სამ-ძღვარ გარეთიდანაც ამ ნაირ ამხანაგობაებს საჩუქრები მოსდისთ, — იარაღი ვარ, თუ ფუ-ლი, თუ ვეჯეულობა, იმ პირობით, რომ ეს საჩუქრები უმჯობესს მსროლველებს მიეცენ. ისეთი სოფელი არაა შვეიცარიაში, რომ სა-ზოგადო ფულებიდგან წელიწადში ორი-სამი თუმნის რამე მაინც არ გაუგზავნოს საჩუქ-რათ მთელი შვეიცარიის თოფის-მსროლვე-ლების კრებას. ორს და სამს იმტენს იმავე სოფლიდგან კერძო პირები გზავნიან.

ერთმანერთის ჯობნის სურვილი, სახელის და საჩუქრების შეძენა, რასაკვირველია, კარგ ნაყოფს მოიტანს: მართლაც, შვეიცარიელები მთელ ქვეყანაში სახელ-გათქმული თოფის მსროლველები არიან, ასე რომ იმათთანა მსროლველები სხვაგან ძნელათ მოიძებნება. ეს კიდევ არაფერი. კარგი ისაა, რომ შვეიცა-რიაში ისეთი კაცი არ მოიძებნება, რომელ-მაც ჩინებულათ არ იცოდეს თოფის სროლა.

+

წარმოიდგინე ეხლა, მკითხველო, ცუდი დამცველები უნდა ყავდეს შვეიცარიას თუ კარგი: ყოველ შვეიცარიის შვილს შინ თოფ-იარაღი მზათა აქვს, და ყოველმა ჩინებულათ იცის მისი მოხმარება. საომრათ გამოწვევის წესი ძალიან ადვილია. შტაბი და არტილლე-რია, რომელნიც მუდამ სამსახურში არიან, როგორც ამბობენ, სხვა ქვეყნებისას უკან არ ჩამოუდგებიან...

+

ეს ამბავი მისთვის მოგიყევ, რომ სამოცდა ექვსში ჟენევაში მთელი შვეიცარიის თოფის მსროლველებმა შეიყარეს თავი, — და მათი ყრილობა სწორეთ იმ დროს მოხდა, როცა გერმანიაში პრუსსიას და ავსტრიას შუა გა-ცხარებული ომი იყო გამართული.

ზაფხულში, შვეიცარია, მისი მთების გუ-ლისთვის, მთელ ევროპას სალხინო და სასე-ირნო ადგილათ მიაჩნია. ამას გარდა, რადგანც გერმანიაში ომი მზადდებოდა, ვინც იქ მა-შინ ზაფხულის გატარებას აპირებდენ, შიშით

თილ დღეობა, და ყოველიფერი, რაც კი პირდაპირ ლუკმა პურს არ აძლევს.—კარგი იქნება სწავლა, თუ ავი, ოღონდ კი იმან ნასწავლს ფული შეაძენინოს,—მეტს ჩვენები არას ითხოვენ რას. ამგვარათ უყურებენ ჩვენი მამები განათლებას, და ამისგამო ჩვენ არ შეგვიძლია ვიქონიოთ მათზე იმედი, რომ ისინი საზოგადო განათლების წინ წაწევას დაეხმარებიან.

ახლა ვნახოთ, რითი განირჩევიან ჩვენი განათლებული ყმაწვილები თავიანთ მამებისაგან, ამ „განათლების საქმეში.“

ჩვენი გიმნაზიებიდგან გამოდიან ყოველ წელ ბლომათ სწავლა დაუსრულებელი ყმაწვილები დაბალ კლასებიდგან. ეს ყმაწვილები, რომელთაც არ მიუღიათ არავითარი გონებითი და ზნეობითი გახსნა, შედიან მათზე უფრო უმეცარ საზოგადოებაში, სადაც მათ ურიგო მოქმედების გზა ეხსნებათ. ესენი, ხალხის უმეცრების გამო, ატყუებენ მას და ყოველ წამში მზათ არიან ორი-სამი მანეთისთვის გასყიდონ პატიოსნება; და რასაკვირველია, მალე ხდებიან ყოველივე წინა წაწევის მტრათ, რადგანაც ხალხის განათლება მათთვის პურის და პატივის მოკლებას ნიშნავს. ამგვარი მჭამელი მატლები ყოველ წელ ბლომათ ემტებიან საწყალ ჩვენ ხალხს, და თავიდან არ მოშორდებიან, სანამ არ მიექცევა ყურადღება ყმაწვილების აღზრდაზე.

ჩვენ ბოლოს გვრჩება საიმედო ციხეთ ის ყმაწვილები, რომელნიც გიმნაზიაში სწავლას ათავებენ და მიდიან სხვა და სხვა მაღალ სასწავლებლებში. მათზეა ხალხში განათლების გავრცელების ვალი; მაგრამ ვნახოთ საქმე რას გვეტყვის. ჯერობით ჩვენს ახალგაზდობას თითქმის ავათმყოფობათ აქვს გადაქცეული ერთი და იგივე მიმართულება....

საქმე გვიჩვენებს, რომ ჩვენი განათლების გზის მაჩვენებლები იმას სცდილობენ, რომ მარტო მათ გაუთბეს გვერდები და იცხოვრონ „ჩვენებურათ,—ძველებურათ“...

ხალხის საზოგადო საქმეზე, ე. ი. მისი გონებითი და ზნეობითი გაუმჯობესობაზე და წინ წაწევაზე, ძალიანი გავლენა აქვსთ მის განათლებულ წევრებს, რომელთაც აუღიათ თავიანთ კისერზე ხალხის სიბნელიდამ გამოყვანა და კიდევაც მოუმზადებიათ თავი ამისთანა დიდი საქმისათვის. ამისთანა ხალხის წევრების ხელში არის ლიტერატურა, როგორც საშუალება მათი აზრის გასავრცელებლად.

მაგრამ ხალხის განათლებაზე ლიტერატურას გავლენა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა მას ბევრი მკითხველები ყავს, ისეთი მკითხველები, რომელთაც შეუძლიათ იმ აზრების შეთვისება, რომელნიც ლიტერატურაში გამოითქმიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიტერატურის შრომა რჩება ფუჭათ და უნაყოფოდ....

ჩვენი ახალგაზდები, ჩვენდა საუბედუროთ, არც ამნაირ მკითხველებს უმზადებენ ლიტერატურას, არც თავათ ლიტერატურის წარმატებას ეხმარებიან; და ამ შემთხვევაში იმათ, სურვილის გარდა, შეძლებაც აკლიათ: ისინი მომზადებული არ არიან ამისთანა საქმისათვის... ამისგამო ჩვენს პატიოსან ახალგაზდებს რჩება ერთი სატრიალო მინდორი, ე. ი. სამოქალაქო სამსახური....

ასე, ჩვენდა საუბედუროთ, გამოვდივართ ჩვენ, რომელნიც უნდა ვიყოთ განათლების გზის მაჩვენებელნი, ისევ იმ ცხონებული პაპა-ბაბუების მსგავსნი, რომელთაც ქვეყნის დაქცევაც არ ყნაღვლებოდათ, თუ თითონ არ იქნებოდენ ქვეყანაზე.

დ. ჩქოტუა.

ოდესსა, 30 ივნისს.

---

თფილისში მობრძანების შემდგომ, მეორე დღეს მისი, უმაღლესობა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, მისი იმპერატორებითი უმაღლესობით, მიხეილ ნიკოლოზის ძით, დილის ცხრა საათზე წაბძანდა თავისი პოლკის დასათვალიერებლათ, რომელიც ამ შემთხვევისთვის თფილისის ახლო და კოჯრის შუა გზაზე, ს. ტაბახმელას დაბანაკეს. დათვალიერების შემდგომ მათმა უმაღლესობამ პოლკის უფროსთან საუზმე მიირთვეს. თფილისს დაბრუნების შემდგომ მათი უმაღლესობანი საზაფხულო თეატრში ბრძანდებოდენ; იმავ საღამოს სასახლეში ვახშამი იყო, რომელზედაც გრუზინსკი პოლკის აფიცრები დაპატიჟების ღირსნი გახდენ.

10 ივლისს, 9 საათზე, მათი იმპერატორებითი უმაღლესობა ბორჯომს წაბძანდენ, მაგრამ წაბრძანების წინ მისმა იმპერატორებითი უმაღლესობამ კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ ას ორმოცდა მეცამეტე (ბაქოს) პოლკი დაათვალიერა, რომელიც სასახლის წინ იყო დარაზმული. შემდგომ ამისა დაათვალიერა კავკასიის მუზეუმი, რომლის გვერდით ეკიპაჟები იყვნენ მორთმეულნი.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ორი დღე დარჩა ბორჯომს და 13 ამ თვისას ქუთაისით ყირიმში წაბძანდა. („კავკაზი“)

*

დიდი მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის მგზავრობის აწერაში „კავკაზს“ შემდგომი შეცდომა მოსვლია: იმას უნდა ეთქვა რომ ეს პირველი მობძანებაა თ ფ ი ლ ი ს შ ი ო, ამის მაგიერათ, იმას დაუწერია კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი ო.

---

ჩვენ ქალაქში გაიმართა საზაფხულო თეატრი, რომელიც გაწყობილია „ინჟინრების ბაღში,“ მტკვრის პირზე, კუკიის ხიდთან. ამ ბაღში წლეულს ჩინებული სათეატრო სახლი, გააშენეს, თავათ ბაღი სასეირნოთ მორთეს და გააჩაღეს, შიგ სასმელ-საჭმელათ ბუფეტი გამართეს, ისე რომ ბაღში ზაფხულის საღამოს გატარება დიდის სიამოვნებით შეიძლება.

თეატრში ხშირ-ხშირათ რუსული წარმოდგენაა, რომელშიაც აქაური თეატრის აქტორები თამაშობენ. მართალი რომ თქვას კაცმა, აქტორების კრება ცუდათ არაა შემდგარი, და სხვა პროვინციალური ქალაქების შედარებით, თფილისს ჩინებული კრება ჰყავს. ჩვენდა სამწუხაროთ, ეს კრება ხშირათ ნიჭ მოკლებულ თხზულებაებს არდგენს. ვინც კარგა დაახლოვებით არ იცნობს რუსულ ლიტერატურას, და აქაურ წარმოდგენას ესწრება, ის უეჭველათ იფიქრებს, რომ რუსული თეატრი ძლიერ ღარიბი ყოფილა, და ხეირიანი თხზულებაებით ვერ დაიკვეხსო. მართალია, რუსული ლიტერატურა ნამეტნათ მდიდარი არაა, მაგრამ მას კაი ძალი ჩინებული, აზრიანათ და ნიჭით დაწერილი თხზულებაები აქვს,—მაგალითად გოგოლის, ასტროვსკის, სუხოვო-კობილინის (*Свадьба Кречинскаго*) და სხვ. ამას გარდა, რუსულ ენაზე გადმოთარგმნილია უმჯობესი სამზღვარ-გარეთელი თხზულებაები. მაშასადამე, რუსულათ კარგი, ხეირიანი და სასარგებლო წარმოდგენის გაწყობა მუდამ შესაძლებელია.

ეს გარემოება მით უფრო უნდა აწუხებდეს კაცს, რომ აქაური აქტორების კრება —როგორც წეღან ვთქვით—კარგათ არი შემდგარი; ის ბევრათ უმჯობესი თხზულებაების და როლების ღირსია.—

აქტორების უმეტესი ნაწილი არ ახდენს წარმოდგენას, და ვისაც ბევრი კრება უნახავს, იმან კარგათ იცის, რომ ეს გარემოება საქები და მეტის-მეტათ იშვიათი საქმეა.
შესანიშნავი და სასიამოვნო ისაა, რომ
ბაში ზოგიერთი იმისთანა აქტორებიც
ვიან, რომელნიც ნამდვილი ცხოვრებ
თითქმის ნამდვილი გრძნობის წარმოდ
და გამოხატვას ახერხებენ. განსაკუთრ
შესანიშნავი არიან უფ. ილოვაისკი, ს
ლოვი და მუზილ-ბოროზდინისა. თუ ჩვ
ვცდებით, ეს ახალგაზდა ქ ლი ჩინებულ
ტისტკათ უნდა დადგეს მომავალში.

თფილისელი საზოგადოება, როგორ
ყობა, გულმოდგინეთ ყურს უგდებს
ხულო თეატრს: თითქმის მთელი ზალა
სავსეა მცქერლებით, და ამათ რიცხვში
მსმენლებიც ბლომათ ურევია.

---

## რაჭის ამბები

(„დროების“ კორრესპონდენცია)

უმთავრესი ნაწილი ყურადღებისა,
მაღალ საზოგადოებას, ეხლა მიქცეული
მარშლების ამორჩევაზედ, ბანკის და
ზედ, გლეხ-კაცების საბუთების გარჩევ
მეორეთ გლეხების ნაფასურის ფულების
სვლაზედ, სწავლის ხალხში გავრცელებაზ
მისთვის რამოდენიმე ფულების დატოვ
იმ მეორეთ გამოსული ფულებისაგან,
ხნის უბრალოთ ფულების გაჩერებაზედ,
მელიც ექვსას თუმნამდი შეწირული
ზოგადოებისაგან, აქაური სასწავლებელ
მატებაში შესაყვანათ, — გზაზედ, რო
იწყობა ქუთაისიდგან და ვლადიკავკა
დის, მის გაუთავებლობაზედ და სხვ.

რაიცა შეეხება მარშლებსა, ძალიან მო
ბა არისო ქუთაისში. ქუთაისიდგან
თუ არა ვინმე კაცი, მაშინვე მოეხვევ
დაუწყებენ კითხვას ამბებისას, რადგანა
ჩტა არ მოდის ონში და არც გაზეთებ
დის თავის დროზედ. ვინც იქნება მომ
ლი, უნდა მოჰყვეს რა მომხდარა ქუთა

აი, რა ამბები მოიტანეს ზოგმა იმათ
ქუთაისში არის მრთელათ იმერეთი,
და ოდიშიაო. ოდიშლებს გული წყდებათ
კენჭის ყრაში არ ურევიანო, რადგანაც
ჯერ თავად და აზნაურათ ნაცნობნი ა
ან. ტევა აღარ არისო. ყველანი მო
ნი და მოკმაზულნი არიანო, ვითომც
წილოთ; არის ერთი ჩურჩული, გახმ
მოხმობა, ყიდვა-გამოყიდვა თავიანთის
მეტყველობისაო და ეგრეთაც დასძ
უკანასკნელი სენი ძლიერ საზარალო
ვიდა ჩვენს . . . . . . . . . .

---

შვეიცარიაში გამოფრინდენ.—მაშასადამე, იმ წელს შვეიცარია, და განსაკუთრებით მისი უმჯობესი ქალაქი—ჟენევა, სავსე იყო სხვა და სხვა ადგილებიდან მოსული ხალხით.

+

მაშინ ჟენევის ქუჩები, ბაღები და ყავა-ხანები რომ გენახათ, იტყოდით, აი ეს ყოფილა ცხოვრებაო. ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ იდგა, იჯდა ან დადიოდა. ყველას პირის სახე და თვალები ცეცხლიოთ ანთებული ჰქონდა, ყველა პირდაპირ გიყურებდა, პირდაპირ გელაპარაკებოდა,—ნაცნობი ყოფილიყავი მისთვის, თუნდა უცნობი. ქუჩა ქუჩა გაზეთის დ მრიგებლები დაიარებოდენ;—იმ დროს ყოველი გაზეთი დღეში სამ-ოთხს, ხანდისხან ათიოდე დამატებასაც სცემდა, დეპეშებით და ახალი ამბებით. გამოჩნდებოდა თუ არა სადმე გაზეთის დამრიგებელი, მას გარშემო ხალხი შემოეხვევოდა, რომელიც ძალდატანებით სოველ ქაღალდს ხელიდან ართმევდა, და ჯიბეში წვრილმან გროშებს უყრიდა. მაშინ იწყებოდა ახალი ამბების ხმა მაღლა კითხვა, მსჯელობა, იმართებოდა გაუთავებელი ბაასი. ზოგი გამხიარულებული სახით, ზოგი დანაღვლებულით (კაცს ეგონებოდა, ამათ თვალის ჩინივით საყვარელი ვაჟი, ანა და ქამივით შეძულებული ცოლი მოკვდომიათო), ერთი მეორეს კლავში ხელს უყრიდენ და ისე გულწრფელათ, ალტაცებით, გრძნობით ელაპარაკებოდენ ერთმანერთს, თითქო მათი პირველი შეყრა არ ყოფილიყოს, და დაბადებიდან ერთათ გაეტარებიათ თავიანთი სიცოცხლე.

+

დილის შვიდ საათზე მთელი ქალაქი შინიდგან გამოდიოდა, და ახალ გამოსულ გაზეთებს მივარდებოდა. შიგ წაიკითხავდა, ვთქვათ, რომ პრუსსიელების ჯარმა ესა და ეს ხიდი, ესა და ეს რკინის გზაა აიღენო. ერთი ორი საათის შემდგომ მეორე ამბავი მოდიოდა: ავსტრიელებმა ამა და ამ ადგილას პრუსსიის ჯარს ცხვირში ძმარი ადინესო. ცოტა ხნის შემდგომ ხელ ახლავ ამბავი მოდიოდა, პრუსსიელებმა გაიმარჯვესო, და ამ ამბავს ხელ-მეორეთ ახალი დეპეშა არღვევდა. ერთი სიტყვით ავსტრიის სატახტო ქალაქიდან მიღებული დეპეშები და გაზეთები ტრაბახობდენ ავსტრიამ გაიმარჯვაო, პრუსსიის ქალაქიდგან მოსულები ამბობდენ — პრუსსიამო, და იტალიის დეპეშები—იტალიამო. ეს დეპეშები კაცს დღეში ხუთჯერ გააცივებდენ, და ერთი იმტოლჯერვე გააცხელებდენ. ამისთანა ციებ-ცხელებაში ვიყავით ჩვენ ათი დღის განმავლობაში, მინამ ერთ და იმავე დროს დეპეშები არ მოვიდენ, ვენიდგან იმ ამბით, რომ ავსტრიის ჯარმა დიდის წესიერებით უკან დაიხიაო, და ბერლინიდგან—პრუსსიის ჯარმა საშინლათ დაამარცხა ავსტრიისაო, რომელიც უთავბოლოთ გაიქცა, და პრუსსიის ხელში თავისი არტილლერია, ბაირახები, დაჭრილები და ბანაკი დასტოვაო..

ყველამ მიხვდა, რომ ავსტრია დამარცხებულაო.

+

ცოტახნის შემდგომ ხმა გავარდა, რომ საფრანგეთის მთავრობას და პრუსსიას შუა უკმაყოფილება ატყდა, და ორივე მხარე საომრათ ემზადებაო. რასაკვირველია, ყოველმა შვეიცარიელმა მაშინვე მიხვდა, რომ პრუსსიას და საფრანგეთს შუა ომი შვეიცარიასაც ძალიან დაეტყობოდა,—რადგანც ამ ორი სახელმწიფოს შუა შერიგების დროს შესაძლებელი საქმეა, რომ ორივემ შუაზე გაიყონ შვეიცარია.

უნდა გენახათ მაშინ, რა ალტაცებით, რა გაცვიფრებით ესროდენ ნიშანს შვეიცარიელები! გეგონებოდათ, ნიშნის მაგიერათ. პრუსსიის და საფრანგეთის ჯარი დგანანო. და თოფის დაცლის შემდგომ, მსროლველი ისეთი გაჯავრებით ახალებდა მიწაზე თოფის დუმას, თითქო უნდა ეთქვა—სანამ მიწაში არ ჩამაძვრენთ, ჩემ სამშობლოს არ დაგანებებთო.

+

როცა თოფის სროლა გათავდა და საჩუქრები დარიგდენ, გაიმართა მასპინძ
—საერთო სადილი. სუფრაზე, სულ
ცოტა ექვსი ათასი კაცი ისხდა, და სა
მჭამლებს გარშემო ორი იმოტენა ხალხი

როცა პირველი სადღეგრძელოს დ
დრო მოვიდა, ერთმა შვეიცარიელმა,
დელმა ჟენევის მინისტრმა ჯემს ფა
როგორი სადღეგრძელო დალია:

„ღმერთმა ადღეგრძელოს ეს ჩვენი
ფის მსროლველების ამხანაგობაები,
ნიც სამუდამოთ ჩვენ ქვეყანას დ
ღმერმა ადღეგრძელოს შვეიცარია!“

ამ სიტყვების თქმა, და უშველებე
შის კვრის ატყდომა, „ღმერთმა ად
ლოს შვეიცარიას,“ ყვირილი და ერთ
თის ხელის ჩამორთმევის, გადახვევის
ცნის დაწყება—ერთი იყო. ეს გასაკვ
არეულობა, რომელსაც მცქერლების
ზე ცრემლი მოჰყავდა, სულ ცოტა,
ტა ნახევარი საათი მაინც გაგრძელდა,
მეორე სადღეგრძელო არ დალია მეო
პუტატმა:

„ღმერთმა განუსვენოს ჩვენ წინა
რომელთანც ჩვენ გულში ამისთანა გრ
ჩანერგეს.“

+

იმ დროს ჟენევაში მე ერთი ნაცნობ
მყავნდა, რომელსაც ორმოცდა რვაში

...ოგადოებაშიო, მით უმეტეს რომ ზოგ...ერთმა ახალ-გაზდა ყმაწვილებმაც შესტო... ამ საქმეშიო. . . .

მ ე ო რ ე მ მოიტანა ამბავი, რომ ბანკი თუ ...გახსნეს ეხლა, არ შეიძლებაო. მებატო...გლეხის ფულები შემოკლებიათო და მო...ვალეები გაქცევიათო. Იქვე მდგომარე ...ოთმა მოხუცებულმა კაცმა, რომელიც ესახ...ა ამისთანა მთის ძირში, რომელზედაც ივ...ისის 10-ს რიცხვს მუხლამდი თოვლი არის, ...ეთო წვერიანმა, თქვა ოხვრით: ესეც მალე ...მოელევათ, თუ სხვა საშვალება არ შე...ოიდეს—და სწავლის ან სასწავლებლის გა...ოცელებას არ მოუმატეს.—შენი მტერი და ...ოგული ისრე, როგორც ჩვენ ხალხს გაუ...ირდეს. ჭვე რათი არა, შენი ჭირიმე? Ეხლა ...მართალი ლაპარაკზედ არის დამოკიდებუ...ოი, მე სხვა ენა არ ვიცი, არ მისწავლია, და ...ნ კი სად უნდა მესწავლა. Ამაობაში დაიღუ...ე, შენი მტერი დაღუპულა. Ხელი რათ მოაწე...რეო, თუ თანახმა არ იყავიო. Ჭვე რა ვიცო...ი რა ეწერა იმ ქაღალდში.?—Ვერც ამ ნას...იდობის საქმე გავიგე როგორ არის, თქვა ...ერთმა გლეხმა კაცმა იქვე მდგომარემ. Იმ და...ოცვილებმა, იმ შეამდგომელმა მომრიგებ...ლებმა, ეს საბუთები კი შეკრეს მაგრა ბაწ...რებით და მერმეთ ალარაფერი ამბავი არ არის....

მ ე ს ა მ ე ა მ ბ ო ბ ს: დიდი გზა რომ არის ...უთაისიდგან Ვლადიკავკაზამდე, რომელზედაც ...მარმან მისმა Იმპერატორებითი უმაღლესობამ ...კავკასიის ნამესტნიკმა გამოიარა, და რომელ...ზედაც მაშინ ფაეტონი გამოატარესო, ზედ ეხ...ლა ცხენიც ძლივს გაივლის. Ის გზა ამბობენ, ...ხაზინულის ანგარიშით უნდა გაკეთდესო და ...მართებლობა გარდასცემას უპირებს კერძო ...პირებსო.

...გზები სოფლებში ვერ არის კარგი, აკეთე...ნ მაგრამ მთა და გორა რომ არის ინგრევა. ...ამ ნაირი ლაპარაკი გაიქვთ გამოაქვთ ჩვენ ...აწყინა სოფელში.

...Ორი კვირა არ იქნება მას აქეთ, რაც რა...ის უეზდში მოხდა აეაზაკობა, სასკინეთის ...თაზედ. Ოთხი ებრაელი გაგლიჯეს ოსებმა ...შუა დღისას. Ებრაელები იყვნენ ონელები. ...ქაური ებრაელები დადიან სოფლებში სავა...როთ; როდესაც იმათ მოიარეს რამდონიმე ...სოფელი, და პუდაროს ხეობაში შემოვიდნენ, ...სასკინეთის მთაზედ დახვდენ მათ ორი კაცი. ...Ორივეს ამოღებული ხმლები ხელში ეჭირათ ...და დაბაჩები. Დაუყვირეს თურმე ებრაელებს ...და შემოუტიეესთ: სად მიხვალთ თქვე მყრა...ლებოო! Ებრაელები ოთხივე შეშინდნენ და ბარგი დაყარეს, ერთი ცხენი ყვანდათ, ისეც დააგდეს, და გაიქცნენ ტყეში. Აეაზაკებმა დახვიეს ხელი ებრაელების საქონელს და წაიღეს, ცხენიც წაიყვნეს, მაგრამ შემდგომ რამოდენიმე ხანისა გამოეშვათ; ცხენი ისევ ებრაელებს წამოეყვანათ. Ონში რომ მოვიდნენ ებრაელები, ქალნი და კაცნი შეხვდენ და ულოცავდენ რომ ცოცხალი გადარჩენ. Ერთმა აქაურმა მოქალაქემ უხუმრა, რომ მოყავდნენ გაცარცვილი ებრაელები: თქვენ უბედურებო, მაინც უკბენდით თქვენს მტრებს. Ერთმა იმ ებრაელთაგანმა უპასუხა: ღმერთმან იცოდეს არ გვიკბენია, მაგრამ კინაღამ დაგვხოცეს, და რომ გვეკბინა—თავებს დაგვჭრიდნენო.

ს—ი

10 ივნისს, Დ. Ონი.

---

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

## ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ

(„Დროების“ კორრესპონდენცია)

Მას შემდგომ, რაც აქ სახელოსნო გამოფენა გაიხსნა, ერთობ და ერთ ხმათ იმაზედ საუბარშია აქაური საზოგადოება.

Აქაურს ცხოვრებაში ეხლა დიდ მოდაში არის გამოფენა და შიგ გამოწყობილი ნივთები. Საზოგადოთ გულითადს ყურადღებას აპყრობენ ამ კეთილ დაწყობილებას და ამიტომ აქნობამდინ არა სწყინდებათ მუდამ გამოფენის ნახვა და მალ-მალ სიარული,—თუმცა, ზოგნი უფრო დროს გასატარებლათ ალამებენ აქ უქმათ მთელს მშვენიერს ზაფხულის დღეს, და ამით დიდს სარგებლობას აძლევენ მხოლოდ გამოფენის ბუფეტს.

Გამოფენამ სრულათ დააკმაყოფილა როგორც საქმიანი, ისეუსაქმო სტუმრები. Პირველნი გამოფენის სიმდიდრეს და გამართულებას დახარიან, და სიამოვნებით ჩხრეკენ ამაში გამოწყობილ ნივთებს, და მეორენი მალ-მალ კითხულობენ ბუფეტში ღვინის და საჭმელის ახალ-ახალ ჭაშნიკს და ალტაცებაში მოდიან ბუფეტის გამართულობით.

Ეს ახლანდელი გამოფენა თუმცა მეთოთხმეტე სახელოსნო გამოფენათ ითვლება, მაგრამ ცხადია, რომ ჯერეთ ამ სახით თაოსნათ დაწყობილი სისრულით მომართული გამოფენა რუსეთს არ გაუმართავს და არც უნახავს; პირველი საჭიროება გამოფენისათვის ექსპონენტების (წარმოდგენილი საგნის პატრონის ან გამკეთებლის) სიმრავლეა; ამას რაღა თქმა უნდა, და ამის უკან თვით გამოფენის შენობის რიგიანი დაწყობილება და ფართოობა. Ეხლანდელი გამოფენის სახლი ისეთი სრული და სინათლიანია, რომ ყოვლის გამოწყობილის საგნის და ნივთის ნახვა და გაშინჯვა დაუბრკოლებლათ შეიძლება. Შენობას უჭირავს ოთხ-დღიურ ნახევარზედ ცოტა რამ მეტი, ანუ 5327 კვადრატნი საჟენი. Ეს ადგილი დაყოფილია შვიდ განყოფილებათ, თითო მათგანი იყოფა რამდენიმე კლასებათ, სადაც ნივთები ცალ-ცალკეთ არიან გამოწყობილნი საკუთარს კლასებათ, ერთ გვაროვანი საგნები ერთათ, და სხვ.

Რასაკვირველია, საზოგადოთ ხელოსნობისა და ვაჭრობის წარმატებისათვის გამოფენაზედ უკეთესი და სასარგებლო ღონის-ძიება თითქმის ალარ მოიგონება. Გამოფენა ამ შემთხვევისათვის პირველი მიზეზია წახალისებისა, რომელიც ეწევა და ახალისებს ყოველს წარმოებელს, და ნიჭიერებას აფასებს და აჯილდოვებს.

Აქვე მეტი არ იქნება, რომ ვახსენოთ თვით თავდა პირველად გამოფენის მ ო მ გ ო ნ ე ბ ი. Გამოფენის გამართვა მოიგონეს ფრანცუზებმა და პირველათ გამოფენა გაიმართა რევოლუციის დროს, პარიჟში. Ამისთანა სასარგებლო და კეთილის მოგონებისთვის საფრანგეთი სწორეთ ღირსია მადლობისა, რადგანაც ყველგან ამათის მიბაძვით დაიწყეს გამოფენის გამართვა. Საფრანგეთის შემდგომ რუსეთმა თითქმის ყველაზედ ადრე ადევნა ყური ამ სასარგებლო საგანს და 1829 წელს გამოფენა გამართა. Აქედგან დაწყებული, როგორც ზემოთ ითქვა, ამ ეხლანდელი გამოფენით, რუსეთს თოთხმეტი გამოფენა გაუწყვია. Ამდენი გამოფენა გამართულა რუსეთში, და ჩვენ, Კავკასიის მცხოვრებლებს, იმ გვარი მონაწილეობა არცეთ ჯერ არ გვქონიათ, როგორც ეხლანდელს გამოფენაში.

Გამოფენაში საქართველოს განყოფილება ყველაზედ გვიან გაიმართა; მიზეზი ამის ეს იყო რომ ცამეტს აპრილს Თფილისიდან გამოგზავნილი ნივთები მაისის გასულს ძლივს მოგვივიდა, და ჯერ ჩვენთვის დანიშნულს განყოფილებაში ნივთების გამოწყობას და დალაგებას არ ვიყავით მორჩენილი, რომ იმოდენი ხალხი მოგვაწყდა, რომ სრულად დროს ველარ ვპოულობდით, ისე ხეირიანათ დაგველაგებია, როგორც აქ სხვა განყოფილებაშია. Ამის მიზეზით, რაც კი შეიძლებოდა, დალაგება დავაჩქარეთ და ხალხმა თავისუფლათ დაიწყო სიარული. Ჩვენი Კავკასიის განყოფილება უფრო თავს ისახელებდა და ფრიად საინტერესო იქნებოდა, რომ სიმრავლე ამაზედ მეტი ჰყოფილიყო, რადგანაც საზოგადოთ დიდი მოთხოვნილება აქვს აქ საქართველოს ყოველს გვარს ნივთებს. Მაგრამ ამ სიშორეს მოტანც დიდს შრომას და ხარჯს მოითხოვს, ამის მიზეზით, ბევრი ერთნაირი საგნების მოტანა შეუძლებელი იყო. Გამოფენისეთის რომ კამიტეტი იყო დანიშნული, იმან სამძიმოთ დაინახა თითო ნივთების მეტის გამოგზავნა ყოველ გვარი საგნებისა. Რაც შეეხება ჩვენს Კავკასიის განყოფილებას, რომელზედაც დავიწყეთ ეს საუბარი, ყოველმან ჩვენებურმა საგანმა სრული ყურადღება მიიქცია გამოფენაში, ნამეტნავათ კახურმა ღვინოებმა, თამბაქომ, ყველმა და სხვ. Ჩვენში გაკეთებული შვეიცარიელი ყველი ბევრით უკეთესად იცნეს აქაურზედ, აგრეთვე შულო ყველმა და ოსურმა ალტაცებაში მოიყვანეს თვით ექსპერტები (გამშინჯველები, დამჯილდოვებელები). Აბრეშუმები ხომ ყველაზედ უკეთესი აღმოჩნდა, ბამბა, მატყლი, ენდრო, თივთიკები, გიშრის კრიალოსნები, აგრეთვე თევზეულობიდგან ხიზილალა; ერთის სიტყვით ეს ზემოთ მოხსენებული საგნები ისე მოეწონათ, რომ მეტი ალარ შეიძლება, და მოთხოვილება ამაებს იმტონი იქნება, თავის დროზედ, რომ სრულს სარგებლობას უნდა მოველოდეთ.

Გარდა ამებისა, ჩვენს Კავკაზიის განყოფილებაში აღმოჩნდა ისეთი საგანი, რომელიც სრულად ახალი და გაუგონარია რუსეთის ფაბრიკანტებისთვის, მაგალითად აილანტის აბრეშუმი. Ეს ჭია გააჩინა საქართველოში პირველად, Კავკაზის სამეურნო საზოგადოების სეკრეტარმა, უფ. სიტოვსკიმ. Ჩვენ ამ ჭიის სარგებლობას ამ შემთხვევაში არ ვეხებით. Აილანტის ჭიიდგან გაკეთებულმა ძაფმა და ამავე ჭიის პარკებმა, როგორც ზემოთა ვთქვით, მთელს გამოფენაში ისეთი საკუთარი ყურადღება მიიქციეს, რომ პეტროვის სამეურნეო აკადემიის პრაფესორმან, უფ. Გოსოვმა, წაიკითხა ლექცია და ის აზრი გამოთქვა, რომ ფრიად სასარგებლო და საჭირო საგანიაო.

Საზოგადოთ, ჩვენი Კავკაზიის განყოფილება მართლად უფრო ამით არის შესანიშნავი ყველაზედ მომატებულათა. რომ ყოველი თვით უბრალო-ნივთები, რაც კი საქართვე-

---

...რის მმართებლობამ დახვრეტა გაუჩინა, და ...რომელიც მაშინ შვეიცარიაში გადავარ...და.—როცა პრუსიის ჯარმა მისი სამშობლო ...დაიკავა, და ავსტრიის ჯარი დამარცხებული ...ვენისკენ დაბრუნდა, ამ ჩემმა ნაცნობმა ჩეხ...ა მაშინვე Ავსტრიისკენ გასწია, Პრუსსიის ...ჯარიდგან ჩეხია უნდა დავიცვაო.

Არ ვიცი, მოახერხა იმან ჩეხიის დაცვა თუ ...არა. Ეს კი ვიცი, რომ ის გადარეულსავით გაფ...რინდა ვენისკენ, და მასაქეთია მისს ნაცნო...ბებს მისი ამბავი არ გაუგონიათ. Მე მაშინვე ...ვფიქრობდი, თუ ეს კაცი Პრუსსიის ტყვიას ...გადურჩა, Ავსტრიის ტყვია ხომ დამსახუ...რებული აქვს.....

+

Თუ დახვრეტათ დანიშნულ კაცს ისეთი ...ალი ედბოდა გულზე, რომ თავის სასჯელს ...ივიწყებდა და თავის მსაჯულების დასაცვე...ლათ მიდიოდა, შეიძლება წარმოიდგინოს კაც...მა, სხვებს რანაირი გრძნობა აენთებოდა!

Მართლაც, იმ დროს ერთი კაციც არ დარ...ჩენილა ევროპაში, რომელსაც გული არ ას...ტკივნოდეს და ტვინი არ შენძრევოდეს მა...შინდელი ომის მიზეზით. Ყველას გული მხნეთ ...უძგერდა, ყველ ს ახსენდებოდა თავი...სი მამული, მისი სახელი და ბედნიერება, ყვე...ლას თავისი საკუთარი ბუდის საქმეები ცოტა ...ხნით ავიწყდებოდა,—ერთი სიტყვით ყველა, რამდენიმე წუთის განმავლობაში მაინც, ხდებოდა მამულის შვილათ, კაცურ-კაცად...

+

Ვინც ამისთანა მოძრაობას თავისი საკუთარი თვალით ნახავდა, ის უსათუოთ სამუდამოთ დარწმუნდებოდა, რომ კაცობრიობას ომი რომ არ გამოეგონა და აქამომდი არ გამოეზოგა, კაცობრიობის ცხოვრება დაობდებოდა და კაცის ტვინს ხავსი მოეკიდებოდა.

Მართალია, ზოგნი ამბობენ (და, გამოვტყდები, მეც ხანდისხან ამ აზრისა ვარ), ვითომ ხალხებს შუა სწავლის და ხელოვნების ასპარეზზე უნდა იყოს გამართული ომიო, ვითომც, ეს ახალნაირი ომიც მოძრაობაში მოიყვანს კაცობრიობის ტვინს და მის ცხოვრებას გააუმჯობესებსო, მაგრამ...

Მაგრამ, ჩემო მკითხველო, ეს როდის იქნება, Ღმერთმა იცის. Ეხლა კი, ჯერ-ჯერობით, ამისთანა უცხო და უსისხლო ომის მაგიერობას ჩვენ ცხოვრებაში სისხლის მღვრელი ომი შვრება...

+

„სისხლის-მღვრელი ომი“ იცი რაა? Ჩვენში რომ უწინ ორასი-სამასი ცხენოსანი ერთ იმოდენა ლეკს ან თათარს ხმლით შეუტევდა, და ოცი ოცდაათი ოდენ მკვდარს დასტოვებდა მინდორზე, ამისთანა ომი დღეს შეუძლებელი გახდა.

Დღეს ორ სახელმწიფოს გამოჰყავს, თითოს სამას-სამასი ათასი კაცი. Ამ ჯარს წინ ორას-სამასი ზარბაზანი მოსდევს, და უკან ორი იმტენა ექიმები, ზარბაზნები რამდენიმე ვერსზე კლავენ ხალხს.—Თითო სალდათს ხელში ისეთი თოფი უჭირავს, რომელსაც მინუტში ათიოდეჯერ შეუძლია გაიტენოს და გავარდეს; და ყოველი სალდათი ისე გაჩვეულია ამ თოფის ხმარებაში, რომ უშველებელ სიშორიდან შეუძლია მინუტში სამჯერ მაინც მოახვედროს ორაბაზიანის ტოლ ნიშანს.

Ამ მიზეზების გამო, სამოცდა ექვსში, ერთი დღის განმავლობაში, სადოვას საქმის დროს, ამოწყდა ასორმოცდა ათი ათას კაცზე მეტი, და არა ნაკლები...Იფიქრე, მკითხველო, რამდენია ეს რიცხვი.

+

Ას ორმოცდა ათი ათას კაცს ერთ დღეს სული გავარდა;—ამათგანი ზოგი დამახინჯებული დავარდა მინდორზე, ზოგი თავ-ფეხ მოწყვეტილი, ზოგი შუაზე გაპობილი, ზოგი ცხენის და ზარბაზნების ქვეშ გაჭეჭყილი...Და რამდენი დაკოდილი კაცი მოკვდა იმა და მეორე დღეს, უწამლოთ, უნუგეშოთ, ეს Ღმერთის მეტმა არავინ იცის.

+

Კარგი მაგარი გული უნდა ჰქონდეს კაცს, ამისთანა მინდორის დასათვალიერებლათ! Არა მგონია, რომ მე ძალიან მაგარი გულის ვიყო, მაგრამ ზოგიერთ მწერლებზე და ჟურნალისტებზე კი ვარ ისე გაბრაზებული, რომ დიდის სიამოვნებით წავათრევდი იმათ, სადამოხანს, ომის მინდორზე, საქმის გათავების შემდგომ, და დაკეპილ, დახვრეტილ და მომაკვდავ კაცებს თითო-თითოთ დავათვალიერებინებდი.

— „Ეს გახლავს,—დაუმატებდი მე ყოველთვის, როცა ახალ დაკოდილს ან მკვდარს ვაჩვენებდი,—ეს გახლავს თქვენი ნამუშავარის ნაყოფი, თქვენ რომ მკითხველებს საომრათ აქეზებდით, და ხალხებს შუა დაუნდობლობას და მტრობას სთესდით.—Ხომ მშვენიერი სანახავია?“

+

Მართლაც, იმ დროს, როცა ამ უბედურ მძოვრებს ყორნების გუნდი დაეხვევა, ის მწერლები, რომელნიც საფრანგეთს და Გერმანიას საომრათ აქეზებდენ, ლაზათიანათ გაწყობილ სასახლეებში, მშვენიერ კრესლოებზე წამოწოლილი გაზეთებს თვალს გადაავლებენ, ნაზათ გაიზმორებიან და მოსვენებული ხმით ჩინებული სადილის მორთმევას უბრძანებენ მოსამსახურეს. . . . . . . . . .

Ნ. Სკანდელი.

ლოდგან იყო, უცნობი იყო რუსეთის სახოგადოებისთვის, და ამისგამო ყველა იწონებს, აღტაცებაში მოდის და დიდის სიამოვნებით ყიდულობს. მაგალითად თითის ქურქელი და ქართული სალთები, აგრეთვე სპილენძის სინები, პირველსავე დღის დაიტაცეს, და ამის შემდეგომ იმოტენი მსურველები არიან, რომელნიც კითხულობენ თუ რაზარით შეიძლება ამ საგნების შოვნა. ამასთანავე, რუმში, უნდა იცოდეთ რა სასწაული ახდენს! ის ქვეს წყლით სამხე, შემოსავლის კარების მარჯვენა მხარეს. იმას მუდამ ეხოვა აყარებელი, ხალხი ქალი თუ კაცი; ზოგი, ფეხს ცემენ, ქალები ზონტიკის წვერებით თითქმ უხრიჯენენ. იმართლება ამაზედ მოცულადავი საუბარი, და ეს ქართული ხელოვნება დიდათ უკვირთ, ასე რომ მნახველები თან-და-თან უფრო და უფრო ემატება. ერთი სიტყვით ამათი რუმებზედ განცვიფრების სრულად გარდმოცემა შეუძლებელი საქმეა. მინ დაიჯერებს, რომ ზოგნი უფრო რუმების სანახავათ მოდიოდნენ ხელ-ახლავ გამოფენაში, რადგანაც რამტონიმე გზიდ ჰყოფილიყვნენ გამოფენის სანახავათ.

Იე. სოლხაძე.

პეტერბურგი, 24 ივნისს.

„მმართებლობის მოამბე" აცხადებს:

„მისი იმპერატორებითი დიდებულების ნებით ხმარებულ იქნა ყოველი საცადი, პრუსიის და საფრანგეთის შუა ომის მოსაშლელათ. ხელმწიფე იმპერატორი დიდათ სწუხს ომზე, და შეურყეველ გადაწყვეტილებას იდებს—დაიცვას სასტიკი ნეიტრალიტეტი, სანამ რუსეთის ინტერესები შეუხებელნი დარჩებიან. იმპერატორის მმართებლობა მუდამ მზათაა გულ-წრფელათ დაეხმაროს მშვიდობიანობის მობრუნებას."

რადგან ბალტიის გუბერნიებში ბევრი უადგილ-მამულო და უოჯახო გლეხებია (бобыли) მმართებლობა იმათ თურმე სახელმწიფო მიწის დარიგებას უპირებს. თითო გლეხს, როგორც ამბობენ, თორმეტიდან ოცს დესეტინამდე მიეცემა; მაგრამ თუ ის წყლის პირზე დგას და თევზაობით ცხოვრებს, მაშინ ხუთ დესეტინაზე მეტი არ ერგება. Спб. Вѣд. 171.

რიგის ეპარხიის სამღვდელოებას, წასულ დეკემბერში კრება ჰქონია, რომელზედაც სხვათა შორის შესანიშნავი გადაწყვეტილება მიუღია სამღვდელოებისთვის პენსიის ფულის შესაგროვებლათ.—

ამ გადაწყვეტილების ძალით, თითო მღვდელს და დიაკონს უნდა გადახდეს წელიწადში ოცდა ოქვსეტი (36) მანეთი; მთავარდიაკონს—თვრამეტი (18), და დიაკონს—შვიდი (7) მანეთი. ამას გარდა, პენციის ფულათ უნდა შევიდეს: ა, ასის თავი (1%) რაც სადასხო კრუჟკებში ფული გროვდება; ბ, ასისთავი რაც სამღვდელო პირებს, საეკკლესიო შემოსავლის გარდა, სხვა ადგილებიდგან ჯამაგირი ეძლევათ; გ, დესეტინიდგან ორი შაური რაც სამღვდელოების მიწა ქვეს ღრიდებით მითვისებული, და დ, მაირიდგ გადასახადი როცა სამღვდელო პირს ჯილდო მოუდის. სამღვდელოებას იმედი აქვს, რომ ამ საშვალებით იმოდენა ფული შეიკრიბება, რომ ყოველ მღვდლის ოჯახს, რომელსაც ოცი წლის განმავლობაში ის გადასახადი შეჰქონდა, ოთხასი მანეთის პენცია დაუნიშნოს, მთავარდიაკვნისას—ორასი, და დიაკვნისას—ასი. და ვისაც ხუთი წლის განმავლობაში შეჰქონდა—იმათ დაუნიშნოს ათი თუმნის პენცია, თუ მღვდელია, ხუთი თუმნისა—თუ მთავარდიაკვანია, და ორ თუმან ნახევრის, თუ უბრალო დიაკვანია.

ამ გადაწყვეტილებაზე ჩვენებური სამღვდელოებაც რომ დაფიქრდებოდეს, კარგს იზამს. Спб. Вѣд. 174.

„მმართებლობის მოამბე" სწერს, რომ სასწავლებლების გამართვა უფრო და უფრო ვრცელდება სოფლებში. თეითონ გლეხები ჰკრებენ სასწავლებლების გასამართავ ფულს, და იმისთანა სასწავლებლების გამართვას თხოულობენ, რომელშიაც სხვათა შორის ხელსაქმესაც ასწავლიდენ. ერთ ადგილას თვითონ გლეხებმა ისეთი შკოლა გამართეს, რომელშიაც ცალკე ოთახებიაა, სადაც სხვა სოფლიდგან მოსულ ყმაწვილებს ღამის გათევა შეუძლიათ.—მეორე სოფლის გლეხებს გადაუწყვეტიათ, სახლს და შეშას შევსწირავთ, ოღონდ კი ერობამ ჩვენში სასწავლებელი გამართოსო. Спб. Вѣд. 177.

მისკიდგან „ბირჟის უწყებებს" სწერენ, რომ რუსეთიდგან დიდ-ძალი ხალხი მოდის, უქმანის ახლო-მახლო დასასახლებლათ და საეკრთოთ, განსაკუთრებით მეტი ხალხი ხმოლენსკის, ორლის, კურსკის და მინსკის გუბერნიებიდგან მოდის. მეჭრები კი მოსკოვის, ტულის და ვლადიმირის გუბერნიებიდგან მოდიან იქაური წერიმალლებით. Спб. Вѣд. 177.

თურქის მაზრიდგან იწერებიან, რომ ერთს ტაშკენტს მიმავალ პალკოვნიკს ყირგიზებს დამალა უკრაფს; მეორე პოლკოვნიკს, რომელიც ეგრეთვე ტაშკენტს მიდიოდა, დამხვა უსერია იამშჩიკებიას, ისე რომ ტყვის თავზე ქუდი გაუხერეტია. ამ უკანასკნელ პოლკოვნიკს იამშჩიკები გაუღლაბავს, რატომ ნამეტან ცხენებს არ მაძლევეო; მაგიერათ, იამშჩიკებს ეს პოლკოვნიკი მათრახით გაულახავს. ამის გამო, პოლკოვნიკს მთავრობის წინ უჩივლია, და თან ყაზახის გატანა უთხოვია. მესამე სტანციაზე, როცა ერთმა იამშჩიკმა ხაჩუქარი სთხოვა, პოლკოვნიკმა ყაზახს მისი შეკოვება და ქალაქში წაყვანა უბრძანა დასასჯელათ, და ყაზახს რომ უარი არ მოეხსენებინა, კიდეგაც წაიყვანდნენ თურმე.

## უცხო ქვეყნები

### პრუსსია და საფრანგეთი

ივნისის დამლევს, ესპანიის მმართებელმა, მარშალ პრიმ გამოუცხადებია საფრანგეთის ელჩისთვის, რომელიც მისთან სადილათ დაპატიჟებული იყო, რომ ესპანიის მთავრობა ტახტზე ასაყვან კანდიდატათ პრუსსიის ხელმწიფის ნათესავი, თავადი ლოღენცოლერნი დაუნიშნავს. ეს თავადი თავისი დედით ნაპოლეონ მესამის ნათესავიც ყოფილა. როცა ელჩმა ეს ამბავი საფრანგეთის მთავრობას შეატყობინა, პარიჟში მმართებლობამ გული მოიყვანა. გარეგანი საქმების მინისტრმა პრუსსიის ელჩი დაპატიჟა და გამოუცხადა, რომ თუ პრუსსიის ხელმწიფე თავის ნათესავს ესპანიის ტახტზე გასვლას არ დაუშლის, საფრანგეთი პრუსსიას ომს გამოუცხადებს. რასაკვირველია, რომ პრუსსიის ელჩი ამ ამბით თავის მთავრობასთან წავიდა.

სანამ ელჩი პრუსსიის ხელმწიფეს ამ საქმეს უამბობდა, და სანამ ხელმწიფე პასუხს პარიჟში მოიდოდა, საფრანგეთის მმართებლობამ დეპუტატები შეკრიბა და მათ წინ გამოაცხადა, რომ „ჩვენ ვეიმალავდეთ ლოღენცოლერნის ტახტზე გაყვანის საქმეს," და თუ ის პრუსსიამ არ დაუშალა, ძალას დავატანთ, და ჩვენ სურვილს შევასრულებინებთო.

სახელმწიფო საქმეებში მიღებულია, რომ სანამ სხვა და სხვა სახელმწიფოებს შუა რამე საგანზე მოლაპარაკება არ მოთავებულა, არც ერთმა მმართებლობამ არ უნდა გამოაცხადოს მოლაპარაკების საგანი, ან და რა მდგომარეობაშია მოლაპარაკება და ვის რა სურს. ეს წესი იმიტომაა შემოღებული, რომ როცა ხალხმა იცის რა აზრზე იდგა რომელიმე მმართებლობა და რას თხოულობდა მისგან მისი წინააღმდეგი, მაშინ იმ მმართებლობას არაფრის დათმობა აღარ შეეძლება, ამიტომ რომ ხალხი მის დათმობას უღონობათ და შეშინებათ ჩათვლის.

საფრანგეთმა ეს წესი მიატოვა; იმას რომ მიღებული წესით, ელჩის პირით, საქვეყნოთ გამოუცხადებლათ პრუსსიის ხელმწიფისთვის ეთხოვა ლოღენცოლერნს ესპანიის ტახტზე გასვლის ნებას ნუ მიცემო, უეჭველია, რომ პრუსსია ამ თხოვნაზე დათანხმდებოდა და მაშინ არც მისი დათანხმება, არც მთელი ეს საქმე ეცოდინებოდა ვისმე. მაგრამ, რაკი საფრანგეთის მინისტრებმა საქვეყნოთ გამოაცხადეს, რომ თუ პრუსსიამ ჩვენი სურვილი არ აასრულა, ომს გამოვუცხადებთო, ამის შემდგომ პრუსსიას რომ პირდაპირი უარი არ ეთქვა, მის პასუხს ყველა სიძაბუნეს და უღონობას მიაწერდა.

მაგრამ პრუსსიის მმართებლობამ მაინც უპასუხა, რომ ჩვენ ამ საქმის არა ვიცით რაო; ესპანიის ტახტზე მეფის აყვანა—ესპანიელების საქმეა, ჩვენ ამაში არც სარგებლობა გვექნება, არც მონაწილეობა გვაქვსო.

ამ პასუხის მისვლასთანვე, თვითონ ლოღენცოლერნმა გამოაცხადა, რომ სინიდისი იმას ნებას არ აძლევს, მისი გულისთვის ომი ატეხოს გერმანიას და საფრანგეთს შუა და ესპანიასაც მზითვათ ომი მიუტანოს; ამის გამო ის ესპანიის ტახტზე გამეფების უარს ამბობს.

რაკი პრუსსიამ ამ ნაირათ უპასუხა საფრანგეთს, და რაკი თვითონ ლოღენცოლერნის უარის თქმით ყოველი ომის მიზეზი ისპობოდა, მთელ ევროპას ეგონა, რომ მშვიდობიანობა ეხლა ხელ-ახლავ დამყარებულიაო. მაგრამ საფრანგეთმა მოსთხოვა პრუსსიის ხელმწიფეს, პირობა მოგვეცი, რომ თავის დღეში არ მისცემ ლოღენცოლერნს ესპანიის ტახტზე ასვლის ნებასო.

ეს მეტის მეტი შეურაცყოფა იყო პრუსსიისთვის; ამის გამო, ხელმწიფემ აღარ მიიღო საფრანგეთის ელჩი; რასაკვირველია, რომ ეს ამბავი ომის გამოცხადებას ნიშნავდა.

მაშინ საფრანგეთმა პრუსსიას ომი გამოუცხადა და პრუსსიამ თავისი მხრით საომრათ თავდარიგს მისდგა.—

გერმანია ეხლა ორ ნაწილათაა გაყოფილი: ჩრდილოეთელი გერმანია თითქმის სრულიათ პრუსსიას ეკუთვნის, თუმც ზოგან კიდევ არსებობენ პაწაწინა მთავრები. სამხრეთელ გერმანიაში კი სამი გვარიანი დიდი სახელმწიფოებია (ბავარია, ვირტემბერგი და ბადენი), და რამდენიმე წვრილმანი სამთავროები. სამოცდა ექვსში შეკრული პირობების ძალით, ყველა ამ სახელმწიფოების ჯარი პრუსსიის ხელქვეით უნდა იყოს, როცა პრუსსიას ვისმესთან ომი ექნება. ამის გამო, როგორც კი საფრანგეთმა პრუსსიას ომი გამოუცხადა, პრუსსიის, ბავარიის და ვირტემბერგის ჯარი საომრათ უნდა დაიმზადოს.

### იტალია

გაზეთებში სწერია, რომ იტალიის სატახტო ქალაქში, ფლორენციაში, ხალხს ხმა-მაღლა გამოუთქვამს, რომ პრუსსიის მხარეზე დგას. ამის მიზეზი ისაა, რომ საფრანგეთს რომში ჯარი უყენია, რადგანც რომაელებს და იტალიელებს რომის შეერთება უნდათ იტალიასთან. სამოცდა ექვსში იტალია პრუსსიას შეუერთდა, და ამ ერთობამ მას ვენეცია შესძინა. როცა პრუსსიას და საფრანგეთს შუა ომს ელოდენ, მაშინ როგორც პრუსსია, ეგრეთვე საფრანგეთი იტალიას შემწეობისთვის. რომის ჩუქებას პირდებოდნენ.

შესანიშნავი ის არის, რომ საფრანგეთის ჯარი, რომელიც რომში სდგას, სწორეთ შუაზე ჰყოფს იტალიის ძალას, ასე რომ იმას შეუძლია სამხრეთის და ჩრდილოეთელ იტალიაში დაბარგებულ ჯარებს შეერთება დაუშალოს.—

## ომის ამბები

— ესპანიის მმართებლობას გამოუცხადებია, რომ ესპანიის ჩრდილოეთელ სამძღვარზე (საფრანგეთის ახლოს) ჯარი მოგროვდესო.

— ოსმალეთსაც უბრძანებია, რეზერვების დაბარება და ჯარში ჩათვლა.

— დანიის სატახტო ქალაქში, კოპენლაგენში, ხალხს პრუსსიის წინააღმდეგობა გამოუთქვამს.

— ინგლისის მმართებლობას პრუსსიის და საფრანგეთის შერიგება მოუნდომებია, მაგრამ საფრანგეთს უარი უთქვამს. ინგლისი ომში არ გაერევა, თუ ბელგია არავინ დაიკავა.

— საფრანგეთის დეპუტატების კრებაში, რესპუბლიკური პარტიის წევრებსო ის აზრი გამოუთქვამსთ, რომ საფრანგეთის მმართებლობა ცუდათ შვრება, რომ აპირებსო; ეს ომი საფრანგეთის სასარგებლოთ არა, ნაპოლეონის ოჯახის და დინასტიის გულისთვის იწყებაო.—

— გერმანიელებს დაუნგრევიათ ხიდი, რომელიც რეინზე იყო გამართული, კილსა და სტრასბურგს შუა.

— ნაპოლეონს ავათმყოფობა ნებას არ მისცემს, რომ ჯარის უფროსობა თვითონ იქონიოს ხელში. საფრანგეთის ჯარის უფროსები სამძღვარზე მისულან.

— 29 ივნისს სტამბოლს ხელ-ახლავ ცეცხლი გაჩენილა, რომელსაც ცხრა საათის განმავლობაში ხუთასი სახლი დაუწვავს. დამწვრები (თათრები, ებრაელები და ბერძნები) ყველაზე უფრო ღარიბ ხალხს ეკუთვნიდენ.

რადგან ამ ნუმერში დასაბეჭდი ბევრი მასალები გროვდა, შემდგომ ნუმრისთვის უნდა გადავდვათ მიმოხილვის გაგრძელება, რომლის ბეჭდვა დღეის წინ დავიწყეთ, სახელათ „პრუსსიის გაძლიერება გერმანიაში."


ბიბლიოგრაფიული განცხადება.

სიტყვანი და მოძღვრებანი,

თქმულნი იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის მიერ,

ბეჭდვიდგან გამოვიდნენ და ისყიდებიან: ქუთაისში—თვით ეპისკოპოზის სახლებში, თფილისში სასულიერო სემინარიაში—ი. ზოგებაშვილისას და აგრეთვე ალადათოვის წიგნის მაღაზიაში. ფასი სქელ ქაღალდზე ნახევრისა—2 მანეთი, თხელ ქაღალდზე—მანეთ ნახევარი.—

უროკები ფრანციზული ენისა—იკითხე მელიქიშვილის სტამბაში.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში ისყიდება

საწერი რვეული

სურათებითა

ფასი 1 შაური.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюля, 1870 г.   ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.   დროებითი რედაქტორი ს. მესხი.   გამომცემი ს. მელიქიშვილი.